საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი

ქ. თბილისი № 1897-01 „09" 12 2024 წ.

სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს თავმჯდომარეს
ქალბატონ ნათია ჩირიკაშვილს

ქალბატონო ნათია,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის ანგარიშს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ინფორმაციის თავისუფლების მდგომარეობის შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა შესაძლებელია როგორც მატერიალურად, ისე ელექტრონულად - ოფიციალური ვებგვერდის www.hcoj.gov.ge მეშვეობით.

2023 წლის 1 დეკემბრიდან 2024 წლის 1 დეკემბრამდე საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სულ შემოვიდა 67 განცხადება, აქედან:

ა) 10 განცხადება დაკმაყოფილდა სრულად;
ბ) 55 განცხადება არ დაკმაყოფილდა;
გ) 1 განცხადება გადაიგზავნა ქვემდებარეობით;
დ) 1 განცხადება დამუშავების პროცესშია.

აღსანიშნავია, რომ განცხადებათა უმრავლესობა შეიცავდა საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე რამდენიმე მოთხოვნას.

იუსტიციის უმაღლესი საბჭო საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას ეყრდნობოდა საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონს.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება გასაჩივრდა 3-ჯერ.

საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის ხარჯი გაწეული არ ყოფილა.

იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა.

იუსტიციის უმაღლესი საბჭო, საქმისწარმოების მიზნებისათვის მონაცემების შეგროვებისას ხელმძღვანელობს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით. შესაბამისად, პერსონალური მონაცემების გაცემა ხორციელდებოდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და „პერსონალურ მონაცემთა

0144, თბილისი, ბოჭორმის ქ. 12, ტელ./ფაქსი: 227 31 00, www.hcoj.gov.ge
12, Bochorma st., 0144 Tbilisi, Georgia. Tel./Fax: +99532 227 31 00, council@hcoj.gov.ge

დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ შემთხვევებში და კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომა დაიხურა 1 შემთხვევაში - მოსამართლეობის საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიასთან დაკავშირებული საკითხის განხილვისას.

განცხადებებზე პასუხი მოამზადა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა ეკატერინე ქათამაძემ - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსმა კონსულტანტმა - პირველი კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა.

2024 წელს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევისათვის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს დისციპლინური სახდელი არ დადებია.

პატივისცემით,

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

Ekaterine Katamadze 01010001226

Digitally signed by Ekaterine Katamadze
Date: 2024.12.10 16:06:15